ლიზი ლაღაძე

კავკასიის სამართლის სკოლა

ინჰოლანდის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი

,,2024 წლის გაზაფხულის სემესტრში მქონდა შესაძლებლობა მონაწილეობა მიმეღო Erasmus+ გაცვლით პროგრამაში და მესწავლა ინჰოლანდის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში როტერდამში, ნიდერლანდებში, სადაც 6 თვის განმავლობაში ვსწავლობდი საერთაშორისო სამართალს.

საზღვარგარეთ სწავლა ყოველთვის ჩემი ოცნება იყო და ეს გამოცდილება იმაზე მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ოდესმე წარმოვიდგენდი - ეს იყო ნამდვილი ცხოვრებისეული გამოცდილება.

როგორც სამართლის სტუდენტმა, ნიდერლანდებში საერთაშორისო სამართლის შესწავლამ შემომთავაზა უნიკალური აკადემიური გარემო. კურსები იყო ინტელექტუალურად მასტიმულირებელი, რაც დამეხმარა, რომ და არა მხოლოდ ახალი რაკურსით შემეხედა გლობალურ სამართლებრივ საკითხებზე, არამედ მიმიღო დიდი პრაქტიკული ცოდნაც. ასევე, შევძელი მონაწილეობა მიმეღო მნიშვნელოვან დისკუსიებში, ევროკავშირის მოდელირების სესიებში და პრაქტიკაზე დაფუძნებულ დავალებებში, რომლებიც მოიცავდა ურთიერთობას პროფესორებთან და თანამოაზრეებთან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. ამ პროცესმა გააფართოვა და გაამყარა ჩემი ნეთვოქრინგი და ხელი შეუწყო ჩემი ცოდნის განვითარებას სამართლის გარშემო.

გაცვლითი პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი ასპექტი იყო ის საზოგადოება, რომელიც უნივერსიტეტში გავიცანი. საკლასო ოთახის მიღმა კი ჩემი სემესტრი სავსე იყო დაუვიწყარი თავგადასავლებით. ვიმოგზაურე ხუთ ახალ ქვეყანაში, და თითოეულმა მოგზაურობამ მომცა უნიკალური გამოცდილება და გაკვეთილი, რადგან გაამდიდრა ჩემი ხედვა სხვადასხვა კულტურისა და სამართლებრივი სისტემების შესახებ. ეს მოგზაურობები არ იყო მხოლოდ ღირსშესანიშნაობების ნახვა, არამედ ეს იყო ახალ გარემოში ჩაძირვა, ახალი ადამიანების გაცნობა და ჩემი მსოფლმხედველობისა და სოციუმის გაფართოება მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

 მადლიერებით ვარ სავსე იმ გამოცდილებისთვის, რომლებმაც საკუთარი თავის ახალი ვერსია გამაცნეს. მნიშვნელოვანი იყო იმის გაანალიზება, რომ არა მხოლოდ აკადემიურად, არამედ პიროვნულადაც ვიზრდებოდი, რადგან უცხო ქვეყანაში სწავლისა და ცხოვრების გამოწვევები და ტრიუმფები დიდ გავლენას ახდენდა ჩემზე. შევიძინე მეგობრები, შევქმენი სანუკვარი მოგონებები და გავაფართოვე ჩემი ცოდნა. გაკვეთილებმა, რომლებიც ვისწავლე როგორც საკლასო ოთახში, ისე მის გარეთ, წარუშლელ კვალი დატოვა ჩემს ცხოვრებაზე. და სწორედ, ეს იყო ამ მოგზაურობის სილამაზე – ის გვეხმარება იმის დანახვაში, რომ შეგიძლიათ ბევრად მეტი, ვიდრე წარმოგიდგენიათ და შეიძენთ უნარს, რომ დააფასოთ საკუთარი თავის თითოეული წარმატება.

იმის გათვალისწინებით, რომ ჩემი ოცნების ქვეყანა ნიდერლანდები არასდროს ყოფილა, ჩემი გამოცდილება უფრო დიდი გამოწვევებით იყო სავსე, თუმცა მთავარია იმის გაცნობიერება, რომ ჩვენი ოცნებებისკენ მიმავალი გზა ღირს ყოველ რთულ ნაბიჯად და გამოცდილებად, რადგან მთავარი არა დანიშნულების ადგილი, არამედ ის ტრანსფორმაციაა, რომელსაც იქ მისვლამდე განვიცდით. შესაბამისად, გირჩევდით, რომ ერთხელ მაინც მოუსმინოთ თქვენს გონებას, გულის ნაცვლად და ენდოთ სამყაროს, რადგან მან ზუსტად იცის, სად გაგვიკვალოს გზა!

ყველას, ვინც საზღვარგარეთ სწავლას განიხილავს, გირჩევთ, რომ არ გაუშვათ ეს შესაძლებლობა ხელიდან. საზღვარგარეთ სწავლა ჩემი საგანმანათლებლო მოგზაურობის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო და მადლიერი ვარ ყველა მოგონების, მეგობრობისა და გაკვეთილისთვის, რომლებიც ამ გზაზე ვისწავლე.

როტერდამში სწავლის დროს ჩემს გონებაში მხოლოდ ერთი სიმღერა ტრიალებდა– „End of Beginning“, რადგან ვფიქრობ, რომ ჩემი ერასმუსის ქალაქი სამუდამოდ იქნება ჩემი „ჩიკაგო“.

და ბოლოს, წარმატება არ მოიაზრებს მხოლოდ მიღწევებს, არამედ იმ ადამიანად ჩამოყალიბებას, რომელსაც ამ მიზნების ცხადყოფა შეუძლია. ამიტომ, არ შეგეშინდეთ, გამოდით კომფორტის ზონიდან, შეავსეთ აპლიკაცია “and just trust me you’ll be fine!”